




მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის პროცესი უკვე მიმდინარეობს, COVID-19 პანდემია კვლავ ახდენს გავლენას მკარვეკონომიკური ინდიკატორებზე. 2020 წლის განმავლობაში ინფლაციის დონის შემცირების შემდეგ, 2021 წლის დასაწყისიდან ინფლაციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, რაც ძირითადად პანდემიით გამოწვეული მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობითა და სწრაფად მზარდი სამომხმარებლო პროდუქტების ფასებით აიხსნება. უკანასკნელი პროგნოზების მიხედვით, ძირითადი ეკონომიკებისთვის ფასების ზრდის ტემპი შემცირდება და 2022 წლის შუა პერიოდში პრე-პანდემიურ მაჩვენებლებს დაუბრუნდება¹. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საქართველოსა და გლობალური ინფლაციური ტრენდების შესაბამისობა.

საქართველოში, წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), რომელიც წარმოადგენს მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო თვიური დონის მაჩვენებელს წინა წლის შესაბამის თვისთან შედარებით, გლობალური მაჩვენებლის მსგავსად იცვლებოდა. 2020 წლის დეკემბერს, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, ინფლაცია² მნიშვნელოვნად 4.6 პროცენტული პუნქტით (პპ) შემცირდა და 2.4%-ს მიაღწია. ამ პერიოდში ფასები მნიშვნელოვნად (25.4 პპ) შემცირდა “საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები“-ის კატეგორიის პროდუქტებზე, რაც 2020 წლის ნოემბერში კომუნალური გადასახადების სუბსიდირებითა³ და 2020 წლის შუა პერიოდში მსოფლიო ნავთობის ფასების ვარდნით⁴ შესაძლოა აიხსნას. მიუხედავად ამისა, 2020 წლის დეკემბერში მაჩვენებელი მანაც აღემატებოდა პერიოდის მინიმუმს, რომელიც 2018 წლის დეკემბერში დაფიქსირდა (1.5%). 2021 წლიდან, წლიური სფი ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა და გადააჭარბა პრე-პანდემიურ მაჩვენებლებს. 2021 წლის ოქტომბერს წლიური სფი ინფლაცია წლის დასაწყისიდან 10 პპ-ით გაიზარდა და პერიოდის მაქსიმუმს (12.8%-ს) მიაღწია.

საპირისპიროდ, 2020 წლის შუა პერიოდში საბაზო ინფლაცია გაიზარდა და 2020 წლის ივნისში 6.6%-ს მიაღწია (განსაკუთრებულად ფასების ზრდა შეინიშნებოდა “სახლის მოვლის”, “ჯანდაცვისა” და “რესტორნებისა და სასტუმროების” ჯგუფებში), ხოლო 2020-2021 პერიოდში დასტაბილურდა საშუალო თვიურ 5.8%-იან მაჩვენებელზე, როდესაც პრე-პანდემიური (2017-2019) მაჩვენებელი 3.1%-ს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო ინფლაციის შემთხვევაში ცვალებადობის მასშტაბი მნიშვნელოვნად მცირეა სფი ინფლაციასთან შედარებით, ვინაიდან ძირითადი ფასთა ცვალებადობა საკვები პროდუქტებისა და ენერჯორესურსების კატეგორიებზე მოდის.


მწარმოებელთა ფასების ინდექსი (მფი) ფასების ცვალებადობას ინდუსტრიის ხარჯებისა და მწარმოებლის პერსპექტივიდან წარმოადგენს და ზოგიერთ შემთხვევაში ინფლაციის სამომავლო ტრენდების ინდიკატორადაც მოქმედებს. 2020 წლის დასაწყისიდან 2021 წლის აპრილამდე წლიური მფი ინფლაციის 5.7 პპ-ით გაზრდის შემდეგ, 2021 წლის მაისიდან 2021 წლის სექტემბრამდე, წლიური მფი ინფლაცია საშუალო თვიურ 15.9%-ზე დასტაბილურდა. ამავდროულად, BAG ინდექსის⁵ მიხედვით, გამოკითხულ ბიზნესთა უმრავლესობა 2021 წლის მეოთხე კვარტალში⁶ არ გეგმავს მათ პროდუქტებზე ფასების გაზრდას, რაც შესაძლოა, უახლოეს მომავალში ფასების ცვლილების დინამიკის მანიშნებლად გამოვიყენოთ.

ყოველთვიური სფი, მფი და საბაზო ინფლაცია(2017-2021 ოქტ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური(საქსტატი)

პირველი 10 თვის საშუალო წლიურ ინფლაციის სხვადასხვა სახარჯო კატეგორიის კონტრიბუციები, პპ (2017-2021)



წყარო: საქსტატი, PMC research-ის გამოთვლები


2021 წლის ოქტომბრისთვის რეკორდულად მაღალი წლიური ინფლაციის დონის კონტრიბუციებზე დაკვირვება განსაკუთრებით ინფორმატიულია. 2021 წლის ოქტომბერში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდამ მთლიანი ინფლაციის (12.8%) 6.0 პპ შეადგინა (ფასები განსაკუთრებულად გაიზარდა ბოსტნეულზე, მშესუმპირის მეთვე, შაქარსა და კვერცხზე). ტრანსპორტის ფასების ცვლილებებმა წლიური ინფლაციის 2.6 პპ შეადგინა. მესამე უმსხვილესი კონტრიბუტორი “საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერჯიის, აირისა და სათბობის სხვა სახეების” კატეგორია აღმოჩნდა, რაც შესაძლოა აიხსნას 2021 წლის იანვრიდან საქართველოში კომუნალური გადასახადებისა და მსოფლიო ბაზარზე სანავის ფასის ზრდით. გარდა ამისა, რესტორნებისა და სასტუმროების ფასების ზრდამ 2021 წლის ოქტომბრის წლიური ინფლაციის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა.

ამას გარდა, მნიშვნელოვანი პირველი 10 თვის საშუალო წლიურ ინფლაციაში სხვადასხვა სახარჯო კატეგორიის კონტრიბუციის განალიზება. უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2021 პერიოდში პირველი 10 თვის საშუალო წლიურმა ინფლაციამ მაქსიმუმს (8.8%) 2021 წელს მიაღწია.

იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებად ქვეყნებში სურსათი სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, 2015-2021 წლებშიც ინფლაციის მთავარი მამორძავებელი პროდუქტთა აღნიშნული ჯგუფის ფასების ზრდა იყო. კერძოდ, 2020 წლის პირველი 10 თვის საშუალო ინფლაციიდან სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდამ 3.3 პპ მოდიოდა, ხოლო “ტრანსპორტისა და კომუნიკაციების” ჯგუფზე 1.9 პპ.

2021 წელს, წინა წლებთან შედარებით, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პროდუქტების ფასების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება. “საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერჯიის, აირისა და სათბობის სხვა სახეების” ფასების ზრდამ კი მთლიანი ინფლაციის მხოლოდ 0.4 პპ შეადგინა, რაც სრულად არ ასახავს პროდუქტთა ფასების ზრდას, ვინაიდან 2021 წლის მარტიდან კვლავ გრძელდებოდა კომუნალური გადასახადების ნაწილობრივი სუბსიდირება⁷.


სხვადასხვა სახარჯო კატეგორიის კონტრიბუციები წლიურ ინფლაციამ (ოქტომბერი 2021)



წყარო: საქსტატი, PMC research-ის გამოთვლები

აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლებში, ძირითადად, საქართველოს წლიური ინფლაცია აღემატებოდა განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს⁸. განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელმა მინიმუმს (0.3%) 2020 წლის ივნისში მიაღწია, როდესაც საქართველოში ინფლაცია 6.5%-ს შეადგენდა და მხოლოდ მცირედი შემცირების ტრენდები შეინიშნებოდა. 2021 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში, საქართველოში სფი ინფლაცია განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის მსგავსი იყო, მაგრამ 2021 წლის მარტიდან მოყოლებული ინფლაციის დონე მნიშვნელოვნად აღემატებოდა განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს და 2021 წლის ივლისში 11.9%-ს მიაღწია, როდესაც განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 5.5%-ს შეადგენდა. მსგავსად, 2019 წლიდან მოყოლებული წლიური საბაზო ინფლაცია აღემატებოდა საშუალო მაჩვენებელს, თუმცა 2021 წლის ივნისში შედარებით მიუახლოვდა განვითარებადი ქვეყნების საშუალო (4.7%) მაჩვენებელს.

საქართველოს ყოველთვიური სფი და საბაზო ინფლაციის დინამიკა განვითარებადი ქვეყნების საშუალო ყოველთვიურ ინფლაციასთან შედარებით (2017-2021 ივლ)




წყარო: საქსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საშუალო წლიური ინფლაციის მიხედვით, საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ბალკანეთის რეგიონს შორის მცირედი განსხვავებები შეინიშნება. 2020 წელს, საშუალო წლიური ინფლაცია საქართველოში 5.2%-ს შეადგენდა, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშუალო წლიური ინფლაციას 1.6 პპ-ით, ხოლო ბალკანეთის რეგიონის მაჩვენებელს კი 3.7 პპ-ით აღემატება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოში ინფლაცია სწრაფად დაეცემა და 2023 წლისთვის 3%-ს მიაღწევს. 2022-2026 წლებში წლიური ინფლაციის დინამიკა ბალკანეთის ქვეყნების მსგავსად განვითარდება, ხოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან შედარებით საშუალოდ 1.1 პპ-ით ნაკლები ინფლაციაა მოსალოდნელი საქართველოში.

ინფლაციის თარგეთების რეჟიმი საქართველოში

მაღალი და არასტაბილური ინფლაციისა და ეკონომიკაზე მის უარყოფით გავლენაზე საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) მონეტარულ პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც ინფლაციის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნებას ემსახურება. სანცის ეტაპზე (2009-2014) წლებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6%-ს შეადგენდა, რომელიც 2015 წელს 5%-მდე, 2017 წელს 4%-მდე, ხოლო 2018 წლიდან კი 3%-მდე შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთებისთვის ძირითად ინსტრუმენტად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს იყენებს.

ყოველთვიური ინფლაცია, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (2015- ოქტ 2021)



წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

2015-2016 წლებში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა მაქსიმუმს (8%) 2015 წლის დეკემბერში მიაღწია, რაც შემდგომში 6.5%-მდე შემსუბუქდა. აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შემდეგ 12 თვის მოძრავი საშუალო ინფლაციამ მიზნობრივ მაჩვენებელს 2016 წლის აპრილში მიაღწია. 2017-2018 წლებში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შედარებით დასტაბილურდა და საშუალოდ 7% შეადგინა. 2019 წლის ფასების ზრდის საპასუხოდ 2019 წლის დეკემბრიდან განაკვეთმა 9% შეადგინა. ეტაპობრივად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შემცირდა და 2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის თებერვლამდე 8%-ს შეადგენდა, როდესაც შეინიშნებოდა წლიურ ინფლაციისა და 12 თვის მოძრავი საშუალო ინფლაციის შემცირების ტრენდები. 2021 წლის სექტემბრიდან, სწრაფად მზარდი ინფლაციის შესამცირებლად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10%-მდე გაიზარდა. სებ-ის პროგნოზის მიხედვით⁹, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შენარჩუნდება მაღალ დონეზე და მხოლოდ საშუალო ვადაში შემცირდება ოპტიმალურ 6.5%-მდე. ალტერნატიული სცენარის მიხედვით, რომელიც მაღალ შიდა მოთხოვნას მოიაზრებს, 2022 წელს მონეტარული პოლიტიკის 3.1 პპ-ით გაზრდაა მოსალოდნელი, რათა 2022 წლის მეორე ნახევარში რეალურმა ინფლაციამ 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს მიაღწიოს.

1. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი: მსოფლიოს ეკონომიკური მიმოხილვა - აღდგენა პანდემიის პერიოდში, ოქტომბერი 2021
 2. ევასტი ნახსენები ინფლაცია მოიაზრებს ფასების ცვლილებას წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
 3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5026401?publication=0>
 4. <https://blogs.worldbank.org/pendata/oil-market-outlook-lasting-scars-pandemic>
 5. BAG ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და PMC კვლევითი ცენტრის ყოველკვარტლური გამოშვებაა, რომელიც აღწერს საქართველოს ბიზნესის ბოლოდროინდელ მდგომარეობასა და მოკვლავიან მოლოდინებს.

6. წყარო: BAG ინდექსი - ბიზნეს კლიმატი, III კვარტალი
 7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/508071?publication=0>
 8. განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებლები დათვლილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიოს ეკონომიკური მიმოხილვის ოქტომბრის რეაქტის ფურცლებში.
 9. საქართველოს ეროვნული ბანკი: მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, IV კვარტალი

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2018	2019	2020	2021 Q1	2021 Q2
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 596.6	17 470.7	15 888.1*	3 402.3*	4 782.7*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 722.0	4 696.2	4 274.6*	912.5*	1 282.7*
მშპ-ს რეალური ზრდა(%)	4.8%	5.0%	-6.2%*	-4.5%*	29.9%*
ინფლაცია	2.6%	4.9%	5.2%	4.5%	8.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 317.1	1 335.8	572.0	132.2*	234.2*
უმუშევრობის დონე (%)	19.2%	17.6%	18.5%	21.9%	22.1%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 434	5 741	7 535	7 721	8 017
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.5%	20.1%	19.7%	-	-

*წინასწარი მონაცემები